ხელშეკრულება N 2
(კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურებები)

ქ. თბილისი — 27 დეკემბერი 2015 წ.

ერთი მხრივ, სსიპ [illegible] საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის/დირექტორის მ/შ ნინო [illegible] სახით და მეორე მხრივ, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილის - მამია ჯანჯალიას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 იანვრის **№19/ნ ბრძანების 1.8 პუნქტის საფუძველზე**, გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიან საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელში ჩართული სკოლის შიდა ქსელის, კომპიუტერული ტექნიკისა და პერიფერიული მოწყობილობების გამართული ფუნქციონირებისათვის საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერის სერვისის მიწოდება. მომსახურება ხორციელდება 30-მდე პერსონალურ კომპიუტერზე (კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურებები - CPV: 72500000).

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

<u>1. შემსყიდველი ვალდებულია:</u>

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები მიმწოდებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია. ასევე, უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობებისა და სკოლის შიდა ქსელთან მიმწოდებლის კომპიუტერული მხარდაჭერის სპეციალისტის შეუფერხებელი დაშვება.

1.2 კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობებისა და შიდა ქსელის მუშაობაში ხარვეზის წარმოქმნისას ოპერატიულად აცნობოს ამის თაობაზე მიმწოდებელს, **ცხელ ხაზზე (+995 577 66 35 65)** ოპერატორისთვის ინფორმაციის მიწოდების გზით.

1.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

1.4. მიმწოდებლის კომპიუტერული მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებლს აღნიშნულის შესახებ.

<u>2. შემსყიდველი უფლებამოსილია:</u>

მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება.

<u>3. მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

3.1. კომპიუტერული ტექნიკის, პერიფერიული მოწყობილობებისა და შიდა ქსელის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, შესაბამის ინციდენტებზე რეაგირება და შემდგომი მონიტორინგი, მათ შორის:

3.1.1 კომპიუტერული ტექნიკის დიაგნოსტიკა/მხარდაჭერა (ოპერაციული სისტემისა და სხვა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალირება, პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, პერიფერიული აპარატურის კომპიუტერებთან მიერთება და გამართვა);

3.1.2 საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაციისათვის კონსულტაციის გაწევა ტექნიკის (კომპიუტერის სათადარიგო/სახარჯო ნაწილების, პერიფერიული მოწყობილობების და სხვ.) შესყიდვასთან დაკავშირებით.

3.2. უზრუნველყოს შემსყიდველთან კომპიუტერული მხარდაჭერის სპეციალისტის გამოცხადება საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ თვეში 4 ჯერ მისვლისა, გარდა არდადეგების, სკოლის გამოსაშვები გამოცდების პერიოდისა და ბუნებრივი კლიმატური პირობებით გამოწვეული უამინდობისა.

<u>4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:</u>

4.1. მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება;

4.2. მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაუფორმებლობის შემთხვევაში, იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის სისტემაში არსებული მონაცემებით და ამის შესაბამისად მოითხოვოს მიწოდებული მომსახურების საფასურის გადახდა.

მუხლი 3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2280.00 (ათას ორასოთხმოცი და 00 თეთრი) ლარს.
2. მომსახურების მიწოდების საფასური შეადგენს თვეში 190 (ასოთხმოცდაათი) ლარს.
3. **შემსყიდველმა მომსახურების საფასური უნდა გადაუხადოს მიმწოდებელს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ყოველი საანგარიშო თვის 28 რიცხვამდე, წინამდებარე <u>ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.</u>**
4. მიწოდებული მომსახურების თაობაზე მხარეებს შორის დგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი. მისი გაუფორმებლობის შემთხვევაში, გადახდა ხორციელდება მიმწოდებლის მონაცემებზე დაყრდნობით.

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
2. მომსახურების მიწოდება ხორციელდება 2016 წლის 01 იანვრიდან - 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი

1. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ელექტრონული მონიტორინგის სისტემის მეშვეობით ახორციელებს მიმწოდებელი.

2. ელექტრონული მონიტორინგის სისტემაში აღირიცხება საჯარო სკოლაში არსებული ტექნიკური და ქსელური ხასიათის პრობლემები, ფიქსირდება ტექნიკური პერსონალის მიერ შემსყიდველისათვის გაწეული მომსახურება და სკოლაში გამოცხადების რაოდენობა.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია:

1.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა;

1.2. მხარეთა შეთანხმება;

1.3. მხარეების ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება

1. ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმების საფუძველზე.

2. მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების შესახებ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 9. დავის გადაწყვეტა

ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმებით. ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 11. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ ძნელაურის
საჯარო სკოლა
მის: სოფ: ძნელაური
ტელ: 577621417
ს/კ 239402650

მიმწოდებელი:
სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

მის.: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქ. N1ა

ს/კ: 205300048
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი: 707677117
200122900

დირექტორი/დირექტორის მ/შ
ნ. [illegible]
(ხელმოწერა) ბ.ა

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის მოადგილე - მამია ჯანჯალია

(ხელმოწერა)

მიღება - ჩაბარების აქტი N

საჩხერე 22 მარტი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი,

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტის- ლევანი გელბახიანის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ - სოფ. მახათაურის ირაკლი ბაზაძის სახელობის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმომადგენელი მისი დირექტორის ნინო მოდებაძის სახით, წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2015 წლის 14 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება N1 -ის თანახმად, მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია, ხოლო შემსყიდველმა მიიღო კომპიუტერთან და ქსელის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მარტის თვის მომსახურება, ღირებულებით 190 ლარი (ასოთხმოცდაათი) (დღგ ჩათვლით).

ზემოაღნიშნულს ვეთანხმებით, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

მიმწოდებელი:	დამკვეთი:
სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“	სსიპ - სოფ. მახათაურის ირაკლი ბაზაძის სახელობის საჯარო სკოლა
კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტი	დირექტორი
ლევანი გელბახიანი	ნინო მოდებაძე

მიღება - ჩაბარების აქტი N

საჩხერე 23 თებერვალი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი,

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტ ლევანი გელბახიანის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ - სოფ. მახათაურის ირაკლი [illegible] სახელობის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმომადგენელ დირექტორის ნინო მოდებაძის სახით, წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2015 [illegible] 14 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება N1 -ის თანახმად, მიმწოდებელმა შემსყიდ[illegible] გაუწია, ხოლო შემსყიდველმა მიიღო კომპიუტერთან და ქსელის ფუნქციონირებ[illegible] დაკავშირებული თებერვლის თვის მომსახურება, ღირებულებით 190 [illegible] (ასოთხმოცდაათი) (დღგ ჩათვლით).

ზემოაღნიშნულს ვეთანხმებით, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

მიმწოდებელი:	დამკვეთი:
სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“	სსიპ - სოფ. მახათაურის ირაკლი [illegible] სახელობის საჯარო სკ[illegible]
კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტი	დირექტორი
ლევანი გელბახიანი	ნინო მოდებაძე

მიღება - ჩაბარების აქტი N

საჩხერე 22 იანვარი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი,

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტის- ლევანი გელბახიანის სახით და მეორეს მხრივ, სსიპ - სოფ. მახათაურის ირაკლი ბაზაძის სახელობის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმომადგენელი მისი დირექტორის ნინო მოდებაძის სახით, წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ 2015 წლის 14 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება N1 -ის თანახმად, მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია, ხოლო შემსყიდველმა მიიღო კომპიუტერთან და ქსელის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული იანვრის თვის მომსახურება, ღირებულებით 190 ლარი (ასოთხმოცდაათი) (დღგ ჩათვლით).

ზემოაღნიშნულს ვეთანხმებით, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

მიმწოდებელი:	დამკვეთი:
სსიპ ,,განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“	სსიპ - სოფ. მახათაურის ირაკლი ბაზაძის სახელობის საჯარო სკოლა
კომპიუტერული ტექნიკის მხარდაჭერის სპეციალისტი	დირექტორი
ლევანი გელბახიანი	ნინო მოდებაძე